„გახსოვდეს ვისი გვარისა ხარ!“

გვარი და ტრადიცია

3 (30)

მარტი 2016 წ.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ და სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს გაზეთი

საგვარეულო მოძრაობა და მონარქისტული იდეა

თუ ოდესმე ქართულმა ისტორიოგრაფიამ მარქსისტული იდეოლოგიის ხუნდებს თავი დააღწია, საყოველთაოდ ცხადი გახდება, რომ ბიბლიური ალეგორიები მეცნიერული კვლევით ჰპოვებს სრულ დადასტურებას და ახსნას. შესაქმე ანუ დაბადება გვაუწყებს, რომ ყოვლისშემძლე ღმერთმა საყოველთაო ქაოსი მოაწესრიგა და სამყაროს თანამედროვე სახე მისცა; მეცნიერება გვასწავლის: გეოლოგიური ეპოქები ერთმანეთს ცვლიდნენ და დედამიწა ადამიანთა საუფლო გახდა, კაცობრიობის ეთნარქს – ადამს ორი ძე ჰყავდა: კაენი – მიწის მუშაკი და აბელი – მწყემსი, მეცხვარე. უფალმა კაენს ძღვენი დაუწუნა, ხოლო აბელის შენაწირი სიამოვნებით მიიღო. ნაწყენმა კაენმა საკუთარი ძმა მოკლა. ასე გახდა დასაბამიდან მიწამოქმედი კაენის ცოდვის მატარებელი...

სამოთხის ბაღიდან გამოდევნილი ცოდვილი ადამიანი იძულებულია თავი საკუთარი შრომით ირჩინოს და თან სასჯელად კაენის ცოდვა ატაროს. ბიბლიური მითოლოგიიდან ისიც ცნობილია, რომ მრავალტანჯულ ქართველ ხალხს საცხოვრისი თვით უფალმა უბოძა, ხოლო მის მცველად და პატრონად თვით ღვთისმშობელი დასახა, რომლის კალთაგადაფარებული ცხოვრობს ჩვენი ქვეყანა.

ასეთია ღრმად გააზრებული და შორსმწვდომი მითოლოგია, ხოლო ისტორიული სინამდვილე საქართველოს ისტორიის მამამ – დიდმა ივანე ჯავახიშვილმა ასე წარმოგვიდგინა: მსოფლიოს უძველესი ერი ქართველები კუთვნილ მიწა–წყალზე გვარებად განლაგებულნი ცხოვრობდნენ; გვარებმა წარმოქმნეს სოფლები და დაბა–ქალაქები. ეს არის საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა, რომელსაც დღემდე აქვს შემონახული ხსოვნა თავისი ადგილის დედისა – ბუდე ანუ ფუძე – სოფლისა, იმ სალოცავისა, რომელიც მოცემული გვარის წმინდანს განასახიერებს. აქვეა საგვარეულო სასაფლაო და წინაპართა წმინდა სავანე – საძვალე, სადაც მხოლოდ მოცემული გვარიშვილები იკრძალებოდნენ. აქვეა საგვარეულო–საკომლო–საოჯახო სიწმინდეები, რომელთა ვირტუალური ხსოვნა და თაყვანისცემა ყველა ჭეშმარიტ ქართულ გვარს შემონახული აქვს...

სრულიად საქართველოს საგვარეულოთა კავშირი „გვარი და გვარიშვილობა“ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა–კურთხევით საგვარეულო კავშირებს ქმნის – თავისუფალ სამოქალაქო იურიდიულ პირს, რათა აკეთოს გვარისა და ქვეყნის სასარგებლო და რაც კანონით აკრძალული არ არის. ასეთი კავშირი უკვე შვიდასზე მეტია თითოეულ მათგანს თავისი სამოქმედო პროგრამა და წესდება აქვს ოფიციალურად დამტკიცებული. საგვარეულო კავშირის უპირველესი ამოცანაა გვარის ინფორმირება, ქვეყნის შიგნითა და გარეთ მისი გავრცელების არეალის დადგენა, ზრუნვა თითოეულ გვარიშვილზე, ქველმოქმედე-

ბა, დემოგრაფიული კოლაფსის დაძლევა, ოჯახის შექმნის პირობების გაუმჯობესება, საგვარეულო მატიანის შედგენა და გვარის, როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე სახის წარმოჩენა.

საგვარეულო კავშირი თავის საქმიანობას ანხორციელებს არჩეული წინამძღოლითა და გამგეობით, ისინი ავლენენ და ადგენენ მოცემული გვარის ადგილის დედას, ფუძეს, გვარის მფარველ წმინდანს, სალოცავს და საძვალეს. წმინდანის სახელზე ქმნიან საგვარეულო ხატს, რომელიც მოძღვრის მეოხებით ქრისტიანული წესით და რიგით ოჯახებში დაბრძანდება, აყოლებენ ყულაბას და იქ შეგროვებული თანხით გვარში ყველაზე გაჭირვებულს ეხმარებიან. საგვარეულო ხატის მადლით ხორციელდება გვარიშვილთა რწმენაში დაბრუნება, ქრისტიანული ცხოვრების წესის ყოფაში დანერგვა.

ჯერ კიდევ მითოლოგიის ხანაში დაბა–სოფლებში განლაგებულ ქართველ ხალხს ფუძე–საცხოვრისის მიხედვით ფართო თვითმმართველობა ჰქონდა. სოფლის და ქვეყნის უმთავრესი, პირველადი სოციალურ–ეკონომიკურ უჯრედი კომლი იყო (ი. ჭავჭავაძე). სოფელს დემოკრატიული პრინციპების დაცვით, კომლის მეთაურთა ყრილობა მართავდა. თითოეული დასახლებას კუთვნილი, ხელშეუვალი მამული ჰქონდა, რომელსაც საკუთრების სამი ფორმით მოიხმარდა:

კერძო (მემკვიდრეობით გადმოცემული, ნასყიდი, „ხმლით ნაშოვები„). საკომლო საკუთრების საფუძველი იყო. ხელშეუხებელი და მხოლოდ კომლის კუთვნილება გახლდათ, მას ვერავინ შეეხებოდა, თვით მეფეც კი. კერძო საკუთრებაში ჰქონდათ ყანა, ვენახი, ხეხილი, ბოსტანი, ზოგჯერ სათიბი, საძოვარი, ტყე;

საერთო–სათემო საკუთრების სახით მოიხმარდნენ უმთავრესად სათიბ–საძოვარს, ტყეს, გზებს, ბილიკებს, მოედნებს, წყალს (წყაროსთვლები, სარწყავი კვლები).

კერძო და საერთო–სათემო საკუთრება ერთმანეთს ავსებდნენ და აპირობებდნენ, მათი შეხამებით ხორციელდებოდა საარსებო სივრცის სრული გამოყენება. საკუთრების ყველა ფორმას სახელმწიფო – მეფე იცავდა.

საქართველოს მიწა–წყალი ვერტიკალური ზონალობის გათვალისწინებით, ვახუშტისეული ხუთი ბუნებრივ–სამეურნეო არეთა მიხედვით. (ნარინჯ–თურინჯის, ბრინჯ–ბამბის, ვენახიან–ხილიანი, უვენახო–ხილიანი, მაღალმთიანეთის ალპური სათიბ–საძოვრები) იყო ათვისებული. ამ არეებში განლაგებული დასახლებანი ტრადიციული მტერ–მოკეთეობის მეოხებით. ერთმანეთს მოსავლის დანაკლისს უვსებდნენ. მთელი კავკასია მშვიდობიანობის ჟამს ასე ცხოვრობდა. თუ მარქსისტულ იდეოლოგიას თავს დავაღწევთ და კერძ–მოკეთეობას ცხოვრების წესად აღვადგენთ, კვლავ დაგვიბრუნდება სულიერი სიმშვიდე და ნივთიერი კეთილდღეობა, თავის კარ–მიდამოში თითოეული კომლი გამოცოცხლდება, სოფლად დოვლათი და ბარაქა ისევ დატრიალდება, რაც პატიოსანი შრომით – „მიწის მუშაკობით“ – მიიღწევა.

სულმნათმა ივანე ჯავახიშვილმა გაარკვია, რომ ქართველი ერი მონარქისტულ იდეამდე მაშინ მივიდა, როცა ქვეყნის გაერთიანება და ძლიერი სახელმწიფოს შექმნა გახდა აუცილებელი. საქართვლეოში სამეფო ხელისუფლება უშუალოდ ხალხის წიაღიდან აღმოცენდა და სახალხო მონარქია გახდა. სახელმწიოს მართვის უმთავრესი ფორმა, რომელიც საბოლოოდ ბაგრატიონთა დინასტიაში განსახიერდა. ერთხელ და სამუდამოდ ჩვენი მრავალტანჯული ქვეყანა ქართული მონარქისტული მართვის სისტემას უნდა დაუბრუნდეს, ოღონდ ეს ჯერ მიწის ეროვნული რეფორმით უნდა დაიწყოს და განხორციელდეს.

ილიას და ივანე ჯავახიშვილის მოძღვრების საფუძველზე უნდა აღდგეს ქართული ტრადიციული კომპლექსური (შერწყმული) მეურნეობა. სასოფლო–სამეურნეო შრომის მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო და ქმედითი ფორმა. ამის მეცნიერული საფუძვლები მომზადებულია და ხელისუფლების კეთილი ნებაა საჭირო რომ განხორციელდეს. მითუმეტეს ამისთვის მოგვიწოდებს თავის ეპისტოლეებსა და ქადაგებებში საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. სწორად წარმართულმა საგვარეულო მოძრაობამ და მასთან ქართული მონარქისტული იდეის შერწყმამ უნდა მიგვიყვანოს იმ ერთსულოვნებამდე, რასაც ასე ცხოველმყოფელად ქადაგებს ქართველი ერის სულიერი მამა – ილია მეორე.

ლევან ფრუიძე

გთხოვთ გულდასმით წაიკითხოთ და განსაჯოთ

2016 წლის 17 თებერვალს სრულიად საქართველოს საგვარეულოთა კავშირის დარბაზის საბჭოს სხდომაზე ფრიად არასასიამოვნო ფაქტი მოხდა, რომელიც ყოველგვარი ეთიკის ნორმებს მიღმა დგას. ყველა დამსწრე უდიდეს უხერხულობას განვიცდით. ტაძარში ადამიანები უფლის წინაშე ლოცვისთვის და ურთიერთსიყვარულით შედიან. მოხდა პირიქით, შეკრებამ დებოშის სახე მიიღო. თითოეულმა საკუთარ გულში ჩავიხედოთ და ისე განვსაჯოთ: ქრისტიანული შემწყნარებლობა გულწრფელი მონანიების შედეგად ჭეშმარიტ მომნანიებელს ყველა ცოდვას აპატიებს, თუ კი ჩადენილ ცოდვას არ გაიმეორებს და ქრისტიანული ეთიკით იცხოვრებს, ამიტომ მოვუწოდებთ კობაიძეების გვარის წინამძღოლს, ბატონ ალექსი კობაიძეს, ტაძარში ჩადენილი უტაქტო საქციელი მოინანიოს, კოლეგების წინაშე ბოდიში მოიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კობაიძეების გვარის წინაშე ალიძვრება შუამდგომლობა გვარის წინამძღოლობიდან მისი გადაყენების შესახებ და მოიკვეთება სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზიდან, მისი უღირსი საქციელი კობაიძეების გვარს ეცნობება, გვარი შეიკრიბება და ახალ ღირსეულ წინამძღოლს აირჩევს.

გაირკვა, რომ ზოგიერთ გვარის წინამძღოლს გაცნობიერებული არ აქვს რა სტრუქტურაში მოღვაწეობს. მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ ჩვენს გაზეთში საგანგებო განმარტებანი რამდენჯერმე დაიბეჭდა, იძულებულნი ვართ ერთხელ კიდევ გავიმეოროთ არსებული სქემა: სრულიად საქართველოს საგვარეულოთა კავშირი „გვარი და გვარიშვილობა" არის არასამთავრობო, თავისუფალი, ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც სამშობლოს და მოცემული გვარის საკეთილდღეოდ ზრუნავს კანონიერების ფარგლებში, მისი მთავარი ფუნქციაა ჩამოაყალიბოს საგვარეულო კავშირები. საგვარეულო კავშირი ასევე თავისუფალი ორგანიზაციაა, იურიდიული პირია და მოქმედი პროგრამის საფუძველზე (ეს პროგრამ უწმინდესის მიერ კურთხეულია, იხ. წიგნი „გვარიშვილთა სამახსოვრო„), ზრუნავს გვარის შეკავშირებისათვის ქრისტიანულ–მართლმადიდებლური რწმენის საფუძველზე, აღიარებს ქართულ ეროვნულ ტრადიციებს – სახლიშვილობას (ოჯახისშვილობას), გვარიშვილობას და მამულიშვილობას, რაც გამოხატულია ფორმულაში – „ვისი გორის ხარ!" ილწვის ფიცისკაცობის ინსტიტუტის აღდგენისთვის. სამი მუხა, რომელიც უწმინდესმა საქართველოს სიძლიერის და გვარიშვილობის სიმბოლოდ საქართველოს უდიდესი სამი გვარიშვილთა მონაწილეობით სამების ტაძრის ეზოში დარგო, ტანაყრილნი, ტოტებგაშლილნი, ხუთ წელზე მეტია მოფიცრებს მოელის...

საგვარეულოთა კავშირების რაოდენობამ 400–ს გადააჭარბა, აუცილებელი გახდა მათი კოორდინაცია, რაც „გვარი და გვარიშვილობის" გამგეობის შესაძლებლობებს აღემატებოდა, ამიტომ გვარიშვილთა ნებით შეიქმნა სრულიად საქართველოს გვარიშვილთა დარბაზი, სადაც წევრებად ორგანიზებული გვარების წინამძღოლები ავტომატურად შევიდნენ. დარბაზმა მართვისათვის თავისი საბჭო დააარსა, შეიქმნა აგრეთვე ფონდი, რომელიც ნებაყოფლობით შემოწირულ თანხებს იზიდავს.

„გვარი და გვარიშვილობის" გამგეობასთან მოქმედებს სამეცნიერო–საკონსულტაციო საბჭო, სადაც გვართმცოდნე მეცნიერები არიან გაერთიანებული, გვართან კავშირში ქმნიან გვარის სიმბოლიკას და საგვარეულო მატიანეებს, იუსტიციის სამინისტროსთან ურთიერთობაში პასუხს სცემენ გვარების საჭიროებიდან წამოჭრილ ყველა კითხვას, პრობლემას.

სამუშაო, რომელიც სპეციალისტის ინდივიდუალური შრომას მოითხოვს, ხელმისაწვდომ ფასში უნდა ანაზღაურდეს. თანხა დამკვეთმა უნდა შემოიტანოს განკარგვა არსებული წესის დაცვით უნდა მოხდეს.

ამ პრინციპების დაცვით, უწმინდესის კურთხევით, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს დარბაზის საბჭოს, ფონდის, „გვარი დაგვარიშვილობის" გამგეობის და სამეცნიერო–საკონსულტაციო საბჭოს რეორგანიზაცია.

ყველა საქმიან შენიშვნას, გონივრულ რჩევას სიამოვნებით მივიღებთ და გავითვალისწინებთ.

დარბაზის საბჭოსა და „გვარი და გვარიშვილობის" გამგეობაში მუშაობის მსურველებს ვთხოვთ მობრძანდნენ გასაუბრებისათვის.

ლ. ფრუიძე

სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის საბჭო და მაისურაძეთა საგვარეულო კავშირი ულოცავს კავშირის საპატიო თავმჯდომარეს

ომარ მაისურაძეს

დაბადების 70 წლისთავს, უსურვებს ჯამრთელობას, ბედნიერებას და დიდი ხნის სიცოცხლეს სამშობლოს და გვარის საკეთილდღეოდ.

პირველი აპრილი ცნობილი მსახიობის, ბურდულების გვარის წინამძღოლის, სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს წევრის, ბატონ

ელგუჯა ბურდულის

დაბადების დღეა.

სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი და საქართველოს საგვარეულო კავშირი ულოცავს ამ შესანიშნავ თარიღს ბატონ ელგუჯას, უსურვებს ჯამრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს.



---

26 მარტი ბრეგვაძეთა გვარის წინამძღოლის, სრულიად საქართველოს გვარების წინამძროლთა დარბაზის საბჭოს წევრის ბატონი **იური (ირაკლი) ბრეგვაძის** დაბადების დღეა.

ვულოცავთ ბატონ ირაკლის ამ დღეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს საქმიანობაში.

სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი

საქართველოს საგვარეულოთა კავშირი ,,გვარი და გვარიშვილობა"

დაბადების დღეს ვულოცავთ ავჭალის იოანე ნათლისმცემლის დედათა მონასტრის

დეკანოზს მამა მიქაელს (ანდრიაძე) და იღუმენს დედა იოანას (კვირკველია)

ვუსურვებთ დღეგრძელობას, ჯამრთელობას, ღვთისა და სამშობლოს სიყვარულს მრევლთან ერთად, მრავალჟამიერ.

მრევლის სახელით

ნაზი ბალხამიშვილი

„მამყლიოკ მიმიკია და ადგილიკა“



2011 წლის 16 აპრილს ლაზარეს შაბათს (მართალი ლაზარეს მკვედრეთით აღდგინება), წმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარში დაფუძნდა ბარჯაძეთა საგვარეულო კავშირი. გაიმართა საგვარეულო კავშირის დამფუძნებელი კრება, სადაც არჩეული იქნა საგვარეულო კავშირის გამგეობა და გვარის წინამძღოლი.

2012 წლის 29 აპრილს კი წმინდა სამების საკათედრო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა და მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსმა ბიჭვინთისა და ცხუაფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია II დალოცა ბარჯაძეთა გვარი და აკურთხა წმიდა იოანე ნათლისმცემლის საგვარეულო ხატი.

დალოცვას დაესწრნენ ბარჯაძეები ითხვისიდან (ჭიათურა), ატენიდან (გორი), დოესიდან (კასპი), თამარაშენიდან (ქარელი), თბილისიდან, კოჯრიდან, წინუბნიდან, რუსთავიდან, წყნეთიდან, აგარიდან და სარეკიდან.

სხვათა შორის ბარჯაძეთა გვარის დალოცვის დღეს 2012 წლის 29 აპრილს, თბილისში დაიბადა კიდევ ერთი ბარჯაძე – მართა ტატოს ასული.

ბარჯაძეთა ბუდე საცხოვრისია საიბერეთოს სოფელი ითხვისი, რომელიც მდებარეობს ისტორიულ არგვეთის მხარეში ჭიათურასა და საჩხერეს შუაში მდინარე ყვირილას მარცხენა მხარეს ითხვისის პლატოზე.

ბარჯაძეების ნაწილი ზემო იმერეთიდან ქართლში გადმოსულან 1790 წლის ახლო ხანებში.

ამის დამადასტურებლად შეიძლება

ჩაითვალოს ერთ–ერთი არზა:

გლახა ფალავანდიშვილისა ყმის თაობაზე 1800 წ. 24 ოქტომბერი.

მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ფალავანდიშვილის გლახასი.

„იმერეთიდამ ერთი კომლი კაცი მამივიდა ბარჯაძე სესია, მამულიც მიმიცია და ადგილიცა. იმდენი გამარჯვება მქონდესთ, რამდენი კაცი იმერელი ქართლში გახლდეს. ბრძანება ასეა: ვერც ჩვენ ავყრით და ვერც ისინი აჰყრიან ძალითა“.

„ქართული სამართლის ძეგლები“ VIII 1985 წ. 679–680 გვ.

ავთანდილ სილაგაძისა და ანზორ თოთაძის წიგნში „გვარ–სახელები საქართველოში“ (1997 წ. 37 გვ.) მოხსენებულია ბარჯაძეების რაოდენობა – 514 სული. მაგრამ მასში არ არის შესული ჭიათურისა და ქარელის (თამარაშენი) ბარჯაძეების მონაცემები...

გვარის ფუძე – „ბარჯი“ სამეურნეო და საბრძოლო იარაღია. „ბარჯი ანუ სათევზე გრძელი ჯოხი რკინის კავიანი“.

გვარის ეტიმოლოგია სწორედ ამ იარაღთანაა დაკავშირებული.

ტოპონიმებს თუ მოვიშველიებთ ბაჯიხევი – სოფელია ონის მუნიციპალიტეტში.

ბარჯაში – სოფელია მესტიაში, მთა ოთეფურის (ეგრისის ქედი) დასავლეთ დაბოლოებაზე, მდინარე ენგურის მარცხენა ნაპირას, მდ. ხუბერის შესართავთან. მესტიიდან 78 კმ.

ბარჯისხევი – არის კახეთში (გურჯაანი) სოფელი ბაკურციხესთან. ბარჯი – სვანურად ბეჭს ნიშნავს. ბარჯგ–ი (ბარჯგვისა) კუთხურად (ქვემო იმერეთ–გურია).

იგივეა, რაც ბარჯი (მნიშვ.1) „კაცი არაა, რომ ჩამოტეხილ ტოტებს ბარჯგი მიაშველოს!“ (კ. ლორთქიფანიძე), „ბოძი, ბარჯგვებზე შეყენებული პაწაწინა (ოდის) აივანზე იჯდა პლატონი (დ. კლდიაშვილი).

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი I 1950 წ. 986 გვ.

ბარჯი გვხვდება როგორც საკუთარი სახელიც.

ბარჯაძისაგან ასო ბგერით განსხვავებული გვარია ბაჯაძე, რომლებიც ვანის მუნიციპალიტეტის სოფლებში უხუთში და ამაღლებაში სახლობენ.

ძველი გადმოცემის თანახმად ძმები ბარჯაძეები წამოსულან რაჭიდან. ერთი ძმა ზემო, მეორე კი ქვემო იმერეთში დასახლებულა. (რაჭაში ეს გვარი დღეს აღარ გვხვდება).

ზემო იმერეთში ბარჯაძეები ითხვისის (ჭიათურა) გარდა სარეკშიც (საჩხერე) სახლობდნენ. (დღეს სარეკში მხოლოდ ერთი ოჯახია შემორჩენილი).

სოფელ ითხვისში მთავარი ეკლესია ნაქალაქარის სერზე მდებარეობს და წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობისაა.

ბარჯაძეთა დალოცვილი საგვარეულო ხატიც იოანე ნათლისმცემლის სახელობისაა, რომელიც დაბრძანებული იყო და მოიარა თანამოგარეთა ოჯახები: თბილისში, ითხვისში, თამარაშენში (ქარელი, კოჯორში, ატენში, დოესში, სარეკში, წინუბანში, გორში...).

ბარჯაძეების საგვარეულო ხატის ტროპარი (მცირე საგალობელი):

ყოველთა მორწმუნეთა ლოცვუათა შეიწირავ და ვედრებასა მიითუალავ, რამეთუ ხარ ყოველთათვის ტკბილი, მეოხი და სახიერი შუამდგომელი. ამისთვისაცა გევედრებით დიდებულო ნათლისმცემელო იოანე. აღგვისრულე ვედრება ჩუენი და გვითხოვე ყოვლად ტკბილსა იესოს მიერ, რათა ღირს–ვიქმნეთ ზეცისა სასუფეველსა და გვირგვინითა ვიშვებდეთ დაუსწრებლად.

დედოფალო კაცთაო, დედაო ღუთისაო მარიამ, მოხედენ ღაღადებას ლოცვისა ჩუნისა და შეგვიწყალენ სიყვარულისათვის ძისა შენისა და ღუთისა ჩუენისა, რამეთუ მისი არს დიდება.

უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

გაბრიელ ბარჯაძე

ოლღა გურამიშვილი

12 მარტი ილიას ჭრელთვალეგა ოლიკოს დაბადების დღეა

ქვემო ავჭალის მიქაელ–მთავარანგელოზის ეკლესიის 1842 წლის მეტრიკული წიგნი იუწყება, „ქვემო ავჭალის მცხოვრებ თავად თადეოზ გურამიშვილს და მის კანონიერ მეუღლეს ელისაბედ გიორგის ასულს, ორთავე მართლმადიდებლური სარწმუნოების მქონეთ, დაებადათ ქალიშვილი ოლღა 12 მარტს და მონათლულ იქნა 20 მარტს მღვდელ პლატონ ემევის მიერ, ნათლია – თბილისელი აზნაურის იოსებ მესხიშვილის თანდასწრებით“. (ხელნაწერი ინსტიტუტი ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №704).

ოლღას მამა – თადეოზ ზაალის ძე გურამიშვილი (1800–1875), საგურამოელი ამაყი და ქართლის ერთ–ერთი უმდიდრესი მემამულე, მარიამ ციციშვილის, საქართველოს უკანასკნელი დედოფლის დისწული გახლდათ. ოლღას დედა (გვარი უცნობია) ელისაბედ გიორგის ასული, ნაადრევად გარდაიცვალა. დარჩა ორი ასული ეკატერინე და ოლღა. დედით დაობლებული დები, მამიდასთან – სიდონია გურამიშვილთან, უშვილოდ დარჩენილ მდიდარ გენერალ–მაიორ ლეონტი სავარსამიძის ქვრივთან გადადიან. ლეონტი იაკობის ძე სავარსამიძე დაიბადა მოზდოკში (ჩრდ. ოსეთი) ქართველი ღარიბი თავადის ოჯახში. (1778–1838 წ. წ.) XIX ს. პირველი ნახევარი ქართული საზოგადოების ისტორია II ტ.

ოლღას სიდონია მამიდასგან ერგო ქონება, რომელიც 1862 წლის 10 მარტით არის დათარიღებული. ანდერძის დაწერას ესწრებოდა მოწმედ კნიაზ ირაკლი ბაგრატიონი–მუხრანსკი (ხელნაწერთა ინსტიტუტი ილიას საარქივო ფონდი №1005).

მე–15 საუკუნის მიწურულს ზემო ქართლიდან გურამ ზედგენიძეს, კახთა მეფემ ალექსანდრემ გადასაც „ქვეყანა ხარკისა“ – ტერიტორია, ზედაზნიდან არაგვის გაყოლებით ავჭალამდე, რაც შემდგომში გურამიშვილთა გვარის შტოს ფუძემდებელი ფაქტორი გახდა, ხოლო იგი შემდგომში საგურამოდ მოინათლა. ალექსანდრე დიდის დროს ზედგინიძეების გვარს კერძოდ ავთანდილ ზედგინის ძე გორის მოურავი, ვახტანგ, თაყა და.... ზედგენის ძეებს გადაეცათ – გორი, ატენი, კასპი, გომი, იგოეთი, ნადარბაზევი (ალექსანდრე მეფის სიგელი).

რაც შეეხება ოლღა გურამიშვილს, მამიდის ოჯახში მყოფი მაღალი საზოგადოების წრეებში ტრიალებდა და ყურადღებით ადევნებდა თვალს „ცისკრის“ გამოცემაში გაჩაღებულ „მამათა და შვილთა“ ბრძოლას. პეტერბურგიდან ახლად დაბრუნებული ილია, იმ ხანისათვის ჯერ კიდევ გამოუცემელ „საქართველოს მოამბის“ კრიტიკოსობას სთავაზობს ოლღას. ილიამ მასში დაინახა მომავალი მეუღლისა და მძიმე ჭაპანის ერთგულად გამზიარებლის სახე.

ოლღას და ილიას ახალგაზრდობა

ოლღას მამა თადეოზ გურამიშვილი წინააღმდეგი იყო მათი ქორწინებისა და ამიტომ ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს საიდუმლოდ დაქორწინება. მათი სიყვარულის ამბავი მთელმა თბილისმა იცოდა. 1862 წლის 10 აპრილს წმ. სამების ახალ ეკლესიაში, მღვდელმა ნიკოლოზ არდაზიანმა დაწერათ ჯვარი.

ოლღას მეჯვარეები ყოფილან ადიუტანტი პოლკოვნიკი ილია ჩოლოყაშვილი და „კოლეჟსკი ასესორი“ სულხან თუმანიშვილი. ილიასი – „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელი დავით ყიფიანი და ნათესავი ნიკოლოზ ჭავჭავაძე.

ივანე პოლტორაცკის, გრიგოლ ყიფშიძისა და ბარბარე მაყაშვილის მოგონებები: შეუყვარდათ ერთმანეთი გატაცებით და არავითარ მატერიალურ ანგარიშს ადგილი არ ჰქონია იმათ შორის და არც შეიძლებოდა, რომ ჰქონოდა. მე მოწამე ვარ იმათი იდეალური სიყვარულისა და რომანტიული გატაცებისა, რისი შედეგიც იყო ოლღას სახლიდან გაპარვა და ჩვენი ამხანაგების დახმარებით, იმათი საიდუმლო დაქორწინება“.

ოლღა აღმოჩნდა ყოვლად კეთილი, სათნო ხასიათის ადამიანი, ქველმოქმედი, ყოვლის კეთილის თანამგრძნობელი, დიდად მოსიყვარულე თავისი სახელოვანი ქმრის და მაღმერთებელი მისი ნიჭისა“.

„ერთხელ ოლღამ შემიყვანა ილიას საწოლ ოთახში. საწოლთან იდგა მაგიდა, ზედ დიდი ბლოკნოტი, გათლილი ფანქარი და ორი შანდალი კარტოფილის სანთლებით. ოლღამ მითხრა, ყოველ ღამე ასე ვუმზადებ აქაც, ყვარელშიც და თბილისშიც. ცოტას ჩაიძინებს, აანთებს სანთლებს და მანამ სანთლები დაიწვება, წერსო“.

ჟურნალისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს: „ოლღა ბედნიერად თვლიდა თავს, რომ ბედმა არგუნა

მეუღლედ ისეთი შესანიშნავი, დიდბუნებოვანი ადამიანი და ამით სრულიად კმაყოფილი იყო, მეტს არაფერს ნატრულობდა, ილია მისთვის სათაყვანო კერპი იყო, რომლის წინ მუხლს იდრეკდა. ილიას აღმერთებდა და ამიტომ თვალწარბში შეჰყურებდა, თავს დასტრიალებდა, რომ არც თვითონ და არც სხვას არ ეწყენინებინა რა და არ განერისხებინა. ილიას მუშაობას უყურებდა, როგორც მღვდელმოქმედებას და ამიტომ მის სამუშაო კაბინეტს ფეხაკრეფით დასტრიალებდა, ახლოს არავის მიაკარებდა, ყველას ნელის ხმით უნდა ელაპარაკა, რომ ილია არ შეეწუხებინა, მის მუშაობისთვის ხელი არ შეეშალა.

საგურამოში ჰქონდათ ოლღას მამულები, სადაც აიშენეს სასახლე, რომლის შესახებაც ამბობდაო ოლია, ამ სახლს, რომ ვუყურებ, ასე მგონია, ამის მეტი ცხოვრებაში არაფერი შემიქმნიაო.

ქმრისადმი პატივიცემისა და დიდი სიყვარულის ნიშნად, ოლღამ ილიაობა დააწესა, სადაც უამრავ სტუმარს იწვევდნენ.

არც ილია ტოვებდა ოლღას უყურადღებოდ. როგორი მოუცლელიც არ უნდა ყოფილიყო, მისი დაბადების დღისთვის საგანგებოდ ემზადებოდა და უდიდესი სიყვარულით აღნიშნავდა.

1873 წლის 23 მარტს დუშეთში მყოფი ილია წერილს უგზავნის იმხანად ბაქოში დასთან ეკატერინესთან სტუმრად მყოფ ოლღას. „გული არაფერზედ მიმდის, კალამი ხელში ვერ ამიღია, რომ დავწერო რამე, ერთი ხეირიანი და რიგიანი აზრი არ მომდის, ნეტავი ან შენ იყო აქ და ან მე ვიყო მანდ, თქვენთან“.

ოლღასადმი დიდი სიყვარული და პატივისცემა ოლიამ იმითაც ცხადყო, რომ სწორედ მას უძღვნა არა ერთი ლექსი და რაც ყველაზე მთავარია, პოემა – „განდეგილი“.

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მოგახსენეთ, ავჭალაში ბარნაბე ლომიშვილმა, სახლთან ახლოს ააშენა იოანე ნათლისმცემლის სახელზე ეკლესია, რომელიც →



← მდინარე მტკვარს გადაჰყურებდა XVIII–ს. დიდი მიწისძვრის შედეგად მრავალი ნაგებობა დაზიანდა და დაინგრა, მათ შორის ეკლესია–მონასტრებიც: იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში შესასვლელი, მიწის გარკვეული ნაწილი ჩაინგრა, შენობაც დაზიანდა და მისასვლელი ძალიან დავიწროვდაო,თ უმცა მოსახლეობა მაინც ლოცულობდაო. დედა იხსენებდა, რომ ბავშვებს, ვინც იქ სიახლოვეს ვცხოვრობდით ძალიან გვიყვარდა იქ ყოფნაო. დედა იმ აშენებულ სახლში დაიბადა და გაიზარდა, სადაც მისი წინაპარი ბარნაბე ლომიშვილი ცხოვრობდა დაოჯახდა, უფროსი ქალ–ვაჟიც, ვახტანგი და ციალა ბალხამიშვილები იქ დაიბადნენ და იზრდებოდნენ.

მოგვიანებით ავჭალის მოსახლეობამ შეარჩია სხვა ადგილი ღვთისმშობლის სახ. ტაძრის ასაშენებლად, კიდეც დაიწყო მშენებლობა.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ოლღა გურამიშვილს ქ. ავჭალაში ჰქონდა მამიდის დანატოვარი სახლი. ილია, როდესაც ავჭალის გავლით საგურამოში მიბრძანდებოდა, შეუნიშნავს მშენებარე ტაძარი, დაინტერესებულა და გარკვეული თანხაც გაუღია მის დასამთავრებლად. ღმერთმა ნათელი არ მოაკლოს მის სულს.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ტაძარს იყენებდნენ ჯერ საწყობად, შემდეგ კინო–თეატრად. გვერდით მიაშენეს პატარა შენობა ბიბლიოთეკისათვის.

1997 წელს ახლად ნაკურთხი მღვდელი გიორგი რაზმაძე, რომელიც ავჭალის იოანე ნათლისმცემლის შობის დედათა მონასტრის სტიქაროსანი გახლდათ, ტაძრის წინამძღვარ დეკანოზ რევაზ სიხარულიძესთან ერთად ზრუნავდა მის მშენებლობასა და გამშვენიერებებში, ხოლო შემდგომ მრევლისა და მოსახლეობის თანადგომით დღევანდელ ქეთევან წამებულის ტაძრის გუმბათიდან მოყოლებული მრავალი სამუშაო ჩაატარდა მისი წინამძღოლობით. ღვთის მადლითა და უწმინდესის ილია II–ის კურთხევით, ტაძარი რუის–ურბნისის მთავარეპისკოპოსმა იობმა (აქიაშვილმა) აკურთხა 1998 წლის 26 სექტემბერს, როდესაც დაწესებულია დიდ მოწამე ქეთევან დედოფლის ხსენების დღე.

მინდა პირადად ჩემი და ავჭალელი მოსახელობის სახელით დიდი მადლობა მოვახსენო ავჭალის მკვიდრს დეკანოზ გიორგი რაზმაძეს და ავჭალის იოანე ნათლისმცემლის შობის დედათა მონასტრის წინამძღვარს დეკანოზ რევაზ სიხარულიძეს იმ ღვაწლისათვის, რომელსაც ისინი დღემდე ეწევიან.

შენდობას ვითხოვ, ყველა სასულიერო პირის სახელის, გვარის და მათ ღვაწლს, რომ ვერ ვაქვეყნებთ გაზეთის ამ ნომერში, მასალის სიდიდისა და გაზეთის გვარის სიმცირის გამო.

რაც შეეხება ოლღა გურამიშვილს, იყო ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ამიერ კავკასიის ქალთა ინსტიტუტის მზრუნველთა საბჭოს წევრი. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების წევრი.

1895–1906 წ. წ. ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე. ხელმძღვანელობდა ქალთა ჭრა–კერვის სკოლას.

1987 წლის 29 აგვისტოს გაზეთი „თბილისი“ ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის დროს ეხება. „მუხათგვერდზე, რკინის ხიდთან მთელს ზემო ავჭალას მოეყარა თავი. ყველა აქ იყვნენ: მოხუცი, ახალგაზრდა, სოფლის დედაკაცები, ინტელიგენტები, სასოფლო სკოლის მასწავლებელ წვიმაძის მეთაურობით. ამათ ის იყო ზემო ავჭალაში პანაშვიდი გადაეხადათ და ეკლესიიდან პირდაპირ მუხათგვერდზე ამოსულიყვნენ“.

ეს ის ქალბატონი წვიმაძე ლიზა გახლდათ, რომელიც 1895 წ. სრულიად ახალგაზრდა 16 წლის ასაკში გამოგზავნეს ზემო ავჭალაში მასწავლებლად, წერა–კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ავჭალის მამასახლისის ალექსი ლომიშვილის ინიციატივითა და მოსახლეობის თხოვნით. ცხადია ამ საქმეში ილიას და ოლღა გურამიშვილის აქტიურობა უდავოა.

ილიას მკვლელობა ქართველმა ხალხმა ეროვნული ტრაგედიად მიიჩნია. ვაჟა–ფშაველა წერდა: „ილიას მკვლელებს, რომ შეეძლოთ საქართველოს მოჰკლავდნენ“. ილიას ხომ ყველა საქართველოს მამად, უგვირგვინო მეფეთ თვლიდა.

როდესაც ილიას მკვლელებს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, ოლღამ თხოვნით მიმართა უმაღლეს მთავრობას. მკვლელები შეეწყალათ, იმიტომ რომ თავად ილია სასტიკი წინააღმდეგო იქნებოდა სიკვდილით დასჯისაო. ფაქტია ილიამ იწინასწარმეტყველა და ანდერძივით დაგვიტოვა ჩემთვის უსაყვარლესი ლოცვა:

ლოცვა

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენ წინა;

არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა, არ მინდა, ამით შეურაცხვყო მე ლოცვა წმიდა...

არამედ მსურს მე, განმინათლდეს ცით ჩემი სული, შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული, რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან, გთხოვდე: „შეუნდე, არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“

ოლღამ ილიას სიკვდილის შემდეგ წერა–კითხვა გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა თბილისის ილიასეული სახლი და საგურამოს მამული. 1908 წელს მისი აქტიური მონაწილეობით გაიხსნა სკოლა საგურამოს ილიასეულ სახლში.

ილიას სიკვდილის შემდეგ წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა თბილისის ილიასეული სახლი და საგურამოს მამული. 1908 წელს მისი აქტიური მონაწილეობით გაიხსნა სკოლა საგურამოს ილიასეულ სახლში.

ილიას გარდაცვალებიდან ოცი წლის შემდეგ 1927 წლის 29 აპრილიდან ოლღა გურამიშვილი განისვენებს თავის სათაყვანებელ მეულის გვერდით მთაწმინდაზე.

1987 წელს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა განიხილა ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ერისა და ეკლესიის წინაშე და განაჩინა „ილია ჭავჭავაძე შერაცხულ იქნას წმიდანად და ეწოდოს ილია მართალი“.

მადლობა უფალს ყველაფრისათვის, ქართველმა ერმა არ მოვაკლოთ ლოცვა მათ სულებს უკუნითი უკუნისამდე.

ამინ!

ნაზი ბალხამიშვილი

პოეზია

ნარგიზ ტურძილაძე

თამაზ ჩიხლაძეს

ჩიხლაძეთა გვარის თავკაცს,
ფუტკარივით მშრომელს, ჭკვიანს.
კარგ მეუღლეს, ერთგულ მამას,
ტკბილ ბაბუას, სიტყვამზიანს
მინდა ჩემი ქება ვუძღვნა,
ვუთხრა, როგორ ძლიერ მიყვარს.
არავისთან არ ვასხვავებ,
ახლა გულთან ახლოს ვინც მყავს...
მის დიდ ოჯახს დავულოცავ,
გულთბილ, სანდო ადამიანს,
ღვთის წყალობა არ მოშლოდეს
სათნო, კეთილღიმილიანს...
მომენატრე იცი, ძლიერ,
ველარ გხედავ, თვალს აკლიხარ,
გვარისკაცთა შეკრებაზე
მითხარ, რატომ არ დადიხარ?!
შენი გვარი სულპირველად
მე შევკრიბე, ჩემო თამაზ
„რაეოს“ რედაქციაში
ჩაეყარა ფუძე ამას.
ნაზიბროლაც იქ გავიცან,
სოსოც მაშინ შევიყვარე,
ორთავე ჩემს მეგობართა
დიდ სიაში შევიყვარე,
იქ დაედო საფუძველი
ჩვენ დიდ, სანდო მეგობრობას
მერე შენც შემოგვიერთდი
და ამართლებ დღემდე ნდობას...
თქვენთან ერთად მეგობრობას
სიკვდილამდე ვისურვებდი,
დავტკბებოდი თქვენთან ყოფნით,
ვილაღებდით, ვიხუმრებდით...
მომწონს თქვენი ოჯახები,
სავსე სულმდიდარი ხალხით:
ცოლი, შვილი, შვილიშვილი
ერთმანეთზე უფრო კარგი,
ამ ახალწელს მოგილოცავთ,
იცოცხლეთ და გამიხარდით!
გკოცნით, მთელი გულით
გლოცავთ,
წინ სავალგზებს გინათებდეთ
ბრდღვიალა მზე, უღრუბლო ცა!...
სხვა, დანარჩენს მაშინ გეტყვი,
სამებაში მოხვალ როცა.

ირინა გიორგაძე

***

ამ სიყვარულმა ბევრი ღამე,
ცრემლით ატარა,
შენზე ფიქრებმა დამიპყრო და
ქანცი გამცალა.
გადაირბინა ჩემს სხეულში
ბებერ ცხენივით,
გული ჩლიქებით გამიპო და...
დაღი დამასვა.

გაზაფხული

გაზაფხულზე, ღრუბლებიდან
მზის სხივები ჩანს,
ალაგ–ალაგ თოვლის თეთრი
კუნძულები დგას,
ენძელები თეთრ სამოსში,
მორცხვად ხრიან თავს,
ხის ძირებში ყოჩივარდებს
კარნავალი აქვთ,
გაზაფხულზე ღამის უცხო,
სურნელებას იგრძნობ,
მთვარე უკვე ამ სუნამოს
დიდი ხანი იცნობს,
ვარსკვლავები თავის კუთვნილ
გასამრჯელოს ითხოვს,
მე ამ გრძნობას თითქოს უკვე,
ოცი წელი ვიცნობ.

საინფორმაციო ქრონიკა

2016 წლის 7 მარტს გაიმართა სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის აქტივის შეკრება.

დღის წესრიგში იდგა დარბაზის სხდომაზე დასწრების, დისციპლინისა და საქმიანობის რეორგანიზაციის საკითხები.

სიტყვით გამოვიდნენ: ლ. ფრუიძე, ბ. კოჭლამაზაშვილი, ვ. ნადირაშვილი, ხ. სხირტლაძე, ფ. ლოლაძე და სხვები.

გადაწყდა, შექმნილიყო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებდა წინადადებებს დარბაზისა და საბჭოს მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ჯგუფის შემადგენლობაში შევიდნენ: ვ. ნადირაშვილი, თ. მაისურაძე, მ. ჯიბუტი, ხ. სხირტლაძე, ნ. სულამანიძე, მ. კიტოვანი, ბ. კოჭლამაზაშვილი, მ. ლეკვეიშვილი.

– ჯგუფმა გამართა რამოდენიმე შეკრება, იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, აზრთა სხვაობა და კამათი. ბატონმა მიხეილ ჯიბუტმა ითავა ახალი დებულების შექმნა და დარბაზისა და საბჭოს მუშაობის რეგლამენტის შედგენა.

– 28 მარტს ლიტერატურის მუზეუმის დარბაზში საქათველოს სამეფო სახლის საერთაშორისო ფონდმა მოაწყო წიგნის ,,ბაგრატიონები – სამეფო ტახტის მემკვიდრე“ წარდგენა. მოწვეულმა სტუმრებმა საჩუქრად მიიღეს აღნიშნული წიგნი. ღონისძიებას გვარების წინამძღოლთა დარბაზის სახელით ესწრებოდნენ ბატონები ლევან ფრუიძე და ვაჟა ნადირაშვილი.

მკითხველთა საყურადღებოდ!

მოწოდებული მასალების შინაარსზე და ფაქტების სისწორეზე რედკოლეგია პასუხს არ აგებს.

ყველა საგვარეულო კავშირს, ყველა წინამძღოლს, ყველას ვინც ერთგულია საგვარეულო მოძრაობის, ვინც საკუთარი გვარის პატრიოტია

გთხოვთ ითანამშრომლოთ გაზეთ ,,გვარი და ტრადიციასთან“, მოგვაწოდეთ მასალები (სტატიები, ინფორმაციები, ფოტოები) საგვარეულო კავშირების შესახებ, საგვარეულო მოძრაობის, საქართველოს დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ, აგრეთვე ეროვნულობის და მართმადიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემატურ საკითხებზე, ვიზრუნოთ საგვარეულოთა კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობის“ და გვარის წინამძღოლთა დარბაზის მატერიალურ-ფინანსურ და ტექნიკური ბაზის განმტკიცება განვითარებისათვის. მასალები გამოგვიგზავნეთ **E-mail:vaja39@mail.ru**

ჩვენი რეკვიზიტები

სრულიად საქართველოს გვარის
წინამძღოლთა დარბაზის ფონდი
ს/კ 404953154
ბანკი: ,,რესპუბლიკა“ ბანკი
ა/ა GE51Bღ0000010385861378

ჩვენი რეკვიზიტებია:

საქართველოს საგვარეულოთა
კავშირი ,,გვარი და გვარიშვილობა“
ს/კ 202230264
ბანკი: ,,ვი-თი-ბი“ ბანკი
ა/ა GE84Vთ6600000004513608

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი

საკონტაქტო ტელეფონი: 790770871

სარედაქციო კოლეგია

ლევან ფრუიძე
ვაჟა ნადირაშვილი ტელ: 599 90-26-01
თენგიზ მაისურაძე ტელ: 599 97-41-90
მერაბ ლეკვეიშვილი ტელ: 577 41-02-00
ნინო სულამანიძე ტელ: 592 12-34-56

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი
საკონტაქტო ტელეფონი: 790770871